ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ, ᲕᲠᲪᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔᲗᲐ ᲐᲖᲘᲐᲗᲘᲡ ᲓᲔᲠᲒᲐᲕᲗᲐ ᲓᲔᲠᲒᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡ�პᲔᲥᲢᲘ № 14, ᲛᲔᲠᲛᲔᲠᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘ: ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲐ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲐ ᲓᲦᲔᲛᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲙᲘᲠᲘᲠᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ — 10—11 ს. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ (ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ 14—76 ᲛᲝᲓᲒᲣᲠᲘᲡ 10—56 ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 8—43, ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 13—80.

ᲕᲔᲠᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡ�პᲔᲥᲢᲘ № 74 ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 10—49.

ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲬᲘᲤᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲒᲐᲠᲒᲐᲜᲘᲗ—1 მ. 20 კ., ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲬᲘᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲠᲒᲐᲜᲘᲗ „ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲡ“-ᲨᲘ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘ: ᲜᲝᲛᲘᲠᲘᲡᲛᲬᲘᲤᲠᲘ — 20 კ., ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲠᲒᲐᲜᲘᲗ — 25 კ. ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲐᲠᲘ — 5 ᲛᲐᲜ. ᲓᲐᲠᲒᲘ ᲙᲣᲛᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲐ 50 კ. ᲓᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘ. ᲛᲘᲦᲔᲑᲐ 3 ს.

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲜᲝᲛ ᲠᲐᲠ ᲛᲘᲙᲘᲜᲐᲡᲐᲨᲘ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ
— ᲐᲛᲰ. ᲠᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲠᲒᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.
— ᲐᲛᲰ. ᲙᲐᲡᲐᲜᲘᲜ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲠᲒᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.
— ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲚᲘᲠᲘᲡᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ.
— ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲠᲔᲘᲮᲡᲢᲐ�გᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲠᲬᲔᲕᲐᲡ.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ 1925 წ. — ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ — ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐᲞ. № 251 (1406)

ᲡᲐᲣᲤᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲒᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲘ

შეფობის იდეა პირველათ ამბ. ლენინმა წამოაყენა. „ჩვენ თითქმის არაფერს ვკეთებთ სოფლისთვის, ამბობდა ის, გარდა იმისა, რომ გვაქვს ოფიციალური ბიუჯეტი და ოფიციალური დამოკიდებულება მასთან“ („დღიურის ფურცლები“). ამით შეფობის პირველ დამაარსებელს და ორგანიზატორს იმისი თქმა უნდოდა, რომ, გარდა სახელმწიფოებრივ ღონისძიებებისა, სოფლის ქალაქთან დასაკავშირებლათ უნდა გამოიძებნოს კიდევ სხვა გზა, რომელიც უფრო შეუწყობს ხელს ამ დაახლოებას და გაადვილებს მუშისა და გლეხის სამეურნეო და კულტურულ თანამშრომლობის საქმეს.

ესაა სოფელთან საზოგადოებრივ კავშირის დაჭერის გზა, მასთან არა მარტო ოფიციალურ, არამედ ამხანაგურ თანამშრომლობის დამყარება. ამისთვის კი მოწოდებულია ჩვენი საშეფო საზოგადოებები. ამ საზოგადოებათა რამდენიმე წლების მუშაობა უკვე იძლევა საკმაო მასალას იმისათვის, რომ განვიხილოთ ამ დარგში არსებული ნაკლულევანებანი, ეს მით უფრო დროული და საჭიროა, რომ სოფლად მუშაობის საკითხებში, რომელიც მთავარ ამოცანადაა მიჩნეული პარტიისა და ხელისუფლების მიერ, საშეფო საზოგადოებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.

პირველი საკითხი, რომელიც გაუგებრობას იწვევს და გაურკვეველია ბევრ შეფებისათვის, არის სოფელთან დამოკიდებულების ფორმა. როგორი უნდა იყოს შეფის სოფლისადმი დაბმარება, რა გზით უნდა მიმდინარეობდეს ის? აქ ადგილი აქვს ორ მავნე გადახრას. ერთ შემთხვევაში შეფს თავის მოვალეობათ მიაჩნია გლეხობისათვის კულტურულ-განმანათლებელი დახმარება. ამის იქით მისი მოღვაწეობა აღარ მიდის, [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ოქტომბრის რევოლიუციის, დღესასწაულისათვის

ლოზუნგები ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წლის თავისათვის.

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წლის თავს!

მიუხედავად მტრების იერიშებისა და ინტრიგებისა, 8 წლის განმავლობაში სდგას მსოფლიო რევოლიუციის ციხე-სიმაგრე—პროლეტარულ დიქტატურის სახელმწიფო, გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას!

ლენინის ხელმძღვანელობით რ. კ. პარტიამ გაიყვანა მუშები და გლეხები ოქტომბრის ბრძოლაში. რუსეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშები და გლეხები მტკიცე ნაბიჯით მიდიან სოციალიზმისაკენ.

პროლეტარიატის მტკიცე კავშირი სოფლის ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობასთან წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების საფუძველს.

პროლეტარიატის შეთანხმება ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობისთან, აი—მუშურ-გლეხური მთავრობის და კომუნისტური პარტიის შეურყეველი პოლიტიკა.

კაპიტალიზმის საერთაშორისო მტაცებლები შეშინებული არიან ჩვენი ზრდით. ისინი ამზადებენ ჩვენს წინააღმდეგ ახალ შეთქმულებას. მუშებო და გლეხებო, გახსოვდეთ ეს საშიშროება!

—ყაჩაღურ ერთა ლიგის წინააღმდეგ, საგარანტიო დამონავების წინააღმდეგ, ახალ ომების წინააღმდეგ —გაუმარჯოს ყველა ქვეყნების მუშათა სოლიდარობას! გაუმარჯოს მათ საბჭოფილიო კავშირს—კომინტერნს!

ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშები აერთიანებენ თავიანთ რიგებს. ესენი ქვეყნის პროლეტარები სოციალ-დემკრატების სურვილის წინააღმდეგ გზავნიან დელეგაციებს საბჭოთა კავშირში. გაუმარჯოს მუშათა ერთიან ფრონტს ბურჟუაზიის წინააღმდეგ!

კაპიტალის ჯალათებო! მუშების სიკვდილით დასჯისათვის და გლეხების წამებისათვის მიიღებთ თქვენ სამაგიერო ჯილდოს, როდესაც ბუჩაზე გამოვლენ პროლეტარიატის მებრძოლი რიგები.

ძმური სალამი აღმოსავლეთის მშრომელთა მილიონებს, რომელნიც იბრძვიან იმპერიალისტურ მონობის წინააღმდეგ!

ძმური სალამი ჩინეთის მუშებს და გლეხებს. ძმური სალამი მეროკოს [illegible] ალ-ბალ-ალ-ალ-

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“-Ს ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

„ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ“ № 20

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

1. საომარი გაზების გარშემო—ალ. დეგდარიანი.
2. ელექტრო-წყვა—კ. ბურდიკაძე.
3. ცნობები ადამიანის ზრდა-განვითარების შესახებ—ივ. კ. ვეფხვაძე.
4. უდიდესი გამოგონებანი—ჩარლზ ედისონი.
5. ელექტროდენის აღმოჩენა—ი. დანიელ.
6. ბიდრო-გლისსერი.
7. ხის ზრობა სიცივეთ.
8. აეროპლანი—ხომალდი.
9. მცურავი ქიმიური ფაბრიკა.
10. როცა ლაბარაკობს ნავთლუღის რადიო-სადგური.
11. მოკლე-რადიო-ტალღების შესახებ—პროფ. ვ. ი. ბალაბანოვი.
12. ვინ გამოიგონა რადიო-ტელეგრაფი.
13. განძი შავი ზღვის ფსკერზე.
14. შეშლილი პროფესორი?
15. უმსუქნესი ადამიანი
16. მეცნიერებისა და ტექნიკის ქრონიკა.

ᲜᲝᲛᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲔᲖ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ.

ᲓᲦᲔᲡᲕᲔ ᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲐ ᲣᲤᲠᲒᲐᲚᲘ

„ᲩᲘᲠᲐᲚᲓᲐᲜᲘ“

ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲬᲐᲜᲐᲬᲝᲛᲘᲚᲔᲑᲘᲗ

„ᲛᲨᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲮᲔ“

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲡ, 2 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲡᲐᲚᲐᲨᲝᲡ 6 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲕᲔᲓᲣᲚᲘᲐ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲒᲒᲝᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

1. ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ—(ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ).

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲒᲘ: ა) მოხსენება ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲘᲡ შესახებ. ბ) მიმდინარე საკითხები.

2. ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ—(აღმასკომი, ოთახი № 203).

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲒᲘ: ა) გადასახადთა ᲒᲐᲜᲒᲘᲡ. მოქმედების აწარიში გასული სახაუჯეტო წლის განმავლობაში. ბ) მიმდინარე საკითხები.

3. ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ—(აღმასკომი, ოთახი № 833).

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲒᲘ: ა) „საᲑᲭᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ“. ბ) მიმდინარე საკითხები.

4. ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡᲚᲝᲑᲘᲡ—(აღმასკომი, ოთახი № 256).

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲒᲘ: ა) ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲢ.-ᲒᲐᲜᲛᲠᲯᲔᲚᲔᲑᲚᲘᲡ Დ.-ᲒᲐᲜᲒ. 1926 წ. მუშაობის გეგმის დამტკიცება. ბ) მოხსენები Ჯ. ᲒᲝᲒᲔᲚᲘᲡᲨᲘ პურის გამოცხობისა და პურის ᲡᲐᲪᲮᲝᲑᲝᲑᲘᲡ შესახებ. გ) მიმდინარე საკითხები.

5. ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲝ ᲐᲛᲮᲣᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ—(აღმასკ. ოთახი № 208).

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲒᲘ: ა) მოხსენები ᲐᲒᲠᲝ-ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲘᲡ შესახებ მაზრაში. ბ) „ „ მომავალი საᲑᲭᲝᲗᲐᲡ არჩევნების შესახებ. გ) მიმდინარე საკითხები.

6. ᲡᲐᲛᲮᲘᲠᲝᲜᲘ—(აღმასკომი, დარბაზი № 234).

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲒᲘ: ა) მოხსენება სექციის სამუშაო გეგმის შესახებ 1925 წ. ნოემბრის და ოქტომბრის თვეებში. ბ) სექციის ბიუროს არჩევნები. გ) მიმდინარე საკითხები.

თავის სექციების მიხედვით საᲑᲭᲝᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲔᲡᲘᲒᲘᲗᲐ დასწრება საᲒᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝᲗᲐ აღნიშნულ დროზე.

ტფილისის საᲑᲭᲝᲗᲐ სექციების მუშაობის ხელმძღვანელი ᲐᲠ. ᲩᲣᲑᲐᲫᲔ.

ნის. 144—2—1

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ.

29 ოქტომბერს საღამოს 6 ნახ. საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში გაიხსნა ქალაქის რაიონის პარტიული კონფერენცია.

პარტკონფერენციამ პრეზიდიუმში აირჩია შემდეგი ამხანაგები: ᲒᲐᲛᲒᲘᲠᲔᲑᲘᲗᲘ

სასოფლო მეურნეობა

სასოფლო-სამეურნეო მანქანების დაგზავნა სოფლებში

აჰარისტანი

სეპარატორების და გუთნების გაგზავნა სოფლებში

აჰარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა სამაზრო ცენტრებში გლეხებს შორის დასარიგებლად ოქტომბრის განმავლობაში გაგზავნა 100 ცალი სეპარატორი. ამას გარდა მანამდე დაგზავნილი იყო 100 სეპარატორი.

იმავე სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ოქტომბერში სოფლებში დაგზავნა 600 ცალი გუთანი, რომელიც უნდა დაურიგდეს გლეხებს მიმდინარე საშემოდგომო ხვნა-თესვისთვის. ამდენივე რაოდენობა გუთნებისა გაიგზავნა აგვისტოსა და სექტემბერში.

დასავლეთი საქართველო

მოტანილია სასოფლო საეკონომიო ბანკებზე

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში დასავლეთ საქართველოს საკრედიტო ამხანაგობათაგან შედის შუამდგომლობითი ხასიათის განცხადებები სოფლებისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების მოწოდების შესახებ. ჯერ-ჯერობით შემოსულია განცხადებები შემდეგი მაზრების საკრედიტო ამხანაგობების მიერ. ლეჩხუმის მაზრის საკრედიტო ამხანაგობები ითხოვენ ვერმორელის 40 აპარატს, და 5 გოგირდის საფქვევ მანქანას, რაჭის საკ—ტო ამხანაგობები ითხოვენ—ვერმორელის 15 აპარატს 95 სექტორს, ერთ ჩალის საკრელ მანქანას, 3 ფარცხს, 22 გუთანს, 25 კულტივატორს, 1 სათეს მანქანას, 150 ცულს, 12 ტრიერს 25 რძის სეპარატორს და 2 საცეხვს, შორაპნის მაზრის საკრედიტო ამხანაგობები ითხოვენ ვერმორელის 40 აპარატს, ზუგდიდის მაზრის საკრედიტო ’ამხ—ნი: 3 კულტივატორს და 140 სექტორს, ქუთაისის მაზრის საკ—ტო ამხ—ნი: ვერმორელის 10 აპარატს, 20 ნამგალს, 20 ცელს, 11 კულტივატორს და რამდენიმე ცალს ყურნის საწნეხებს.

ბევრ სოფლებში გლეხები ამხანაგთბებს ქმნიან და საერთო ძალით იძენენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს.

საფინანსო კონტროლი

სახელმწიფო თანხების უმომჭირნეო ხარჯვასთან და სამეურნეო ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის გასაძლიერებლად ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატ-ში ორგანოებს შორის მოხდა შეთანხმება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის დაწესების შესახებ საფინანსო კონტროლის სფეროში.

საკრედიტო დაწესებულებათა ქსელის გაფართოება

უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში შესაძლებლად გაფართოდა ა.-კ. საკრედიტო დაწესებულებათა ქსელი ამიერ-კავკასიაში. სახელმწიფო ბანკის კანტორამ გახსნა თავისი განყოფილება ჭიათურაში, ხოლო თბილისის კომუნალურმა ბანკმა თავისი განყოფილებები მოაწყო სიღნაღსა და ცხინვალში.

გარდა ამისა ამ მოკლე ხანში გაიხსნება მთელი რიგი საერთიერთო საკრედიტო ორგანიზაციებისა, რომელთა წესდებები უკვე დამტკიცებულია. განზრახულია საკრედიტო ამხანაგობათა გახსნა: ქუთაისში—10 ათასი მანეთის საბრუნავი თანხით და 250 მანეთის მინიმალური კრედიტით, ფოთში—10 ათას მანეთიანი საბრუნავი თანხით და 300 მანეთიანი მინიმალური სესხით, სამტრედიაში—5 ათას მანეთიან საბრუნავი თანხით და 200 მანეთიანი საბრუნავი სესხით, სოხუმში—10 ათას მანეთის საბრუნავი თანხით და 200 მანეთიანი მინიმალური კრედიტით. ზოგ ადგილს საკრედიტო ამხანაგობებმა უკვე დაიწყეს მუშაობა.

გამგის დამზადების კამპანია

ჩვენს თანამშრომელს ბამბის დამზადების კამპანიის მიმდინარეობის შესახებ წარმოკავშირში აცნობეს შემდეგი:

— ბამბის მოსავლის შეგროვება წარმატებით მიდის, განსაკუთრებით ბორჩალოს მაზრაში. ბამბის მოსავალი წელს საუკეთესოდ უკეთესი იქნება.

ყველა მაზრებში მოწყობილია ბამბის ჩასაბარებელი პუნქტები.

ბამბას გლეხებისაგან იბარებს წარმოკავშირი, რომელიც შემდეგ მას ანაბრებს საქართველოს საბამბო კომიტეტს.

საქართველოს საბამბო კომიტეტმა უკვე შეიმუშავა ბამბის მტკიცე ფასები. დასავლეთ საქართველოში პირველი ხარისხის ბამბაში გლეხებს ეძლევათ 4 მან. 15 კაპ., მეორე ხარისხის—3 მან. 70 კაპ. და მესამე ხარისხის—2 მან. 75 კაპ.

აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა ხარისხის ბამბაზე დაწესებულია 5 მან. 10 კაპ., 4 მან. 50 კაპ., 4 მან. 10 კაპ., 3 მან. 50 კაპ. და 3 მანეთი.

სხვათა შორის აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ბოლო ხანებში დასავლეთ საქართველოში გაჩნდენ ბამბის კერძო მყიდველები, რომლებიც 4 მან. 50 კაპ. აძლევენ გლეხებს პირველი ხარისხის ბამბაში.

დღეგანდლამდი წარმოკავშირის მიერ ბორჩალოს მაზრაში ჩაბარებულია 17.000 ფუთი ნედლი ბამბა; დანარჩენი მაზრებიდან ცნობები არ არის მიღებული.

წელს წარმოკავშირის მიერ კახეთში დათესილი იყო 600 დესეტინა ბამბა, მაგრამ გვალვების გამო ეს ნათესები დაიღუპა; გადარჩა მხოლოდ 56 დესეტინა.

პროფკავშირებში

კულტმუშაობა მელითონეთა კავშირის

ოქტომბერ-დეკემბრის განმავლობაში მელითონეთა კავშირის ცენტრი გამგეობის მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს კულტურულ დარგში მუშაობის გაღრმავებისათვის. რადგანაც კავშირს კლუბები არა აქვს ქარხნებთან, ამიტომ მთელი საკლუბო მუშაობა გადატანილი იქნება მუშათა ცენტრალურ კლუბში და გატარდება კამპანია მუშების ამ კლუბში წევრებად ჩასაწერად. საარტილერიო მეტალნიკურ და „26“ კომუნარის სახელობის ქარხანასთან დაარსდება წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე ცოდნის სალიკვიდაციო შვიდი სკოლა.

სამ სკოლაში მეცადინეობა ქართულად იწარმოებს, ორ სკოლაში რუსულად და ორშიც სომხურად. ამავე ხნის განმავლობაში ქარხნებთან გაიხსნება რვა პოლიტწრე: სამი ქართული, ოთხი რუსული და ერთი სომხური.

კედლის გაზეთის გამოსაცოცხლებლად კავშირის ც. გ. მიზნად აქვს დასახული ამ ხნის განმავლობაში მოიწვიოს კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრთა კონფერენცია და შესაფერისი დარიგება მისცეს მათ მომავალში მათი მუშაობის შესახებ.

ცვალებადი ელექტროდენის მცოდნეთა სამეცრის გამო, კავშირის ც. გ. მიზნად აქვს დასახული ამ ხნის განმავლობაში გახსნას ელექტრო-მომწესრიგებელ სამმართველოსთან ცვალებად ელექტრო-დენის კურსები და ერთ-ერთ კლუბთან გახსნას პროფტეხნიკური კურსებიც, ქარხნებთან არსებული ბიბლიოთეკები შეავსოს ახალი გამოცემებით; მოაწყოს ლექციები ქარხნებში; შეეკითხოს მუშებს, თუ რა შინაარსის ლექციები აინტერესებთ მათ; დიდმაროს პიონერთა ორგანიზაციებს ქარხკომების გადარჩევის შემდეგ მოიწვიოს ქარხკომების წევრთა კონფერენცია და მისცეს მას შესაფერისი დარიგება საშემოდგომო და საზამთრო მუშაობისთვის.

ამ მუშაობის ცხოვრებაში გასატარებლად კავშირს გადადებული აქვს 3.950 მან.

პროფკავშირელი.

ჯანმრთელობის დაცვის საქმე

თელავის მაზრაში

სამკურნალო დაწესებულებანი მაზრაში

მაზრაში არსებობს შემდეგი სამკურნალო და საექიმო დაწესებულებანი: ქ. თელავში მოწყობილია ერთი საავადმყოფო 30 საწოლით, მუშაობს იქ 2 ექიმი. ექიმთა რიცხვი ქალაქ თელავში უდრის 8-ს. ამაში შედის საავადმყოფოში მომუშავე ორი ექიმიც. დანარჩენი 6 ექიმიდგან 2 ექიმი მუშაობს დამზღვევ სალაროში, ხოლო 4 სხვა სამკურნალო ორგანოებში. საავადმყოფოს ჰყავს კიდევ ექიმის 3 თანაშემწე.

სამკურნალო პუნქტები

მაზრაში მოწყობილია 10 სამკურნალო პუნქტი ერთი საავადმყოფო 10 საწოლით და ერთი სამლაბორატორიო სადგური—სოფელ ყვარელში. სამლაბორატორიო სადგურზე მუდმივად მუშაობს ორი ექიმი და ერთი მათი თანაშემწე.

ახალი საავადმყოფოები

მომავალ საბიუჯეტო წელში აღმასკომს განზრახული აქვს 3 საავადმყოფოს მოწყობა მაზრის განაპირა უბნებში: ფშაველში, პანკისში და ერთი სხვაგან.

სამკურნალო პუნქტებზე მომუშავე ექიმები დატვირთულნი არიან საქმიანობით. თვითეულ მათგანს უხდება ავადმყოფების მკურნალობა 8—10 სოფელში და 10—20 ვერსის მანძილის გავლა.

დეკემბრიდან სამაზრო აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს მისცეს ექიმებს სოფლებში სამგზავრო ცხენები.

ავადმყოფობა მაზრაში

ყველა საექიმო პუნქტზე 1925 წლის პირველ იანვრიდან პირველ ოქტომბრამდე გაუვლია სულ 41 ათას 408 ავადმყოფს, რომელთა შორის უმრავლესობა ყოფილა ციებ-ცხელებით შეპყრობილი. შემდეგი ადგილი უჭირავს კბილის ავადმყოფობას და [illegible] ერთს რაიონში აღრიცხულია ჩიყვიანობის 44 შემთხვევა, ჩიყვიანობის ადგილობრივი ექიმების დასკვნით აქაური სასმელი წყლის თვისების შედეგია.

9 თვის განმავლობაში პუნქტებზე აღრიცხული ყოფილა თვალის ავადმყოფობის 490 შემთხვევა. ხოლო როცა მაზრა ჩაზიარია თვალის მკურნალთა უფასო რაზმმა, ორი თვის განმავლობაში რაზმის მკურნალებთან იექიმა 718 კაცმა.

თვალის მკურნალთა რაზმის გარდა მაზრა ჩაზიარია კბილის სამკურნალო მოძრავმა კაბინეტმა, რომელმაც უექიმა 3.685 ავადმყოფს. აქედან პირველი მიმართვა იყო 1.584, ხოლო განმეორებით 2101.

საზამთრო კურორტებზე ადგილების განაწილება

პროფკავშირთა საბჭომ შემდეგნაირად განაწილა ადგილები საზამთრო კურორტებზე.

	სოხუმ.	ქობ.	სულ
1 ტფილისს დაეთმო	60	60	120
2. აჰარისტანს	12	4	16
3. ქუთაისს შაზ.	8	4	12
4. ჭიათურას	3	5	8
5. აფხაზეთს	10	—	10
6. ფოთს რაიონს	8	—	8
7. ბორჯომს	2	2	4
8. სამხრეთ-ოსეთს	1	1	2
9. სენაკს მაზ.	1	2	3
10. ზუგდიდს	2	—	2
11. გორს მაზ.	1	2	3
12. ოზურგეთს	3	1	4
13. სიღნაღს	1	2	3
14. თელავს	1	3	4
15. ახალციხეს	1	—	1
16. ახალქალაქს	—	1	1
17. დუშეთს	—	1	1
18. ბორჩალოს	1	2	3

ამ ადგილებიდან 80 პროც. უნდა დაეთმოს ფიზიკურად მომუშავე მუშებს, დანარჩენი კი—მოსამსახურეებს.

პროფვიკრაობის ქრონიკა

ინჟენერ-ტექნიკოსთა ცენტრალ. ბიუროში

— ბიუროს მდივნად დანიშვნა. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ ინტ.-ტეხ. ცენტრ. ბიუროს მდივნად და ამავე ბიუროს ორგანოს ჟურნალ „ტეხნიკა და ცხოვრებას“-ს მდივნად დაინიშნა ამხ. **ნიკოლოზ მიხ. ზულუკიძე.**

— ინჟენერებისათვის ჯილდოს მიცემის შესახებ. ინჟენერ-ტეხ. ბიუროსთან არსებულ სატარიფო-საყოფაცხოვრებო სექტორმა გამოჰყო კომისია ამხ. კვეზერელი-კოპაძის, ლომაძის და მელიქ-ნუბაროვის შემადგენლობით. კომისიას დაევალა გამოიმუშაოს ცირკულიარი ინჟენერთათვის ჯილდოს მიცემის შესახებ.

მუშათა ცხოვრება

ზედმეტ საათებში მუშაობის შესახებ

(მუშაგლეხინის და შრომის ინსპექტორების საყურადღებოდ)

როგორც ვიცით, შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 103-ის თანახმად, ზედმეტ საათებში მუშაობა, როგორც საერთო წესი, სასტიკად აკრძალულია.

ზედმეტი საათების მუშაობა შეიძლება დაშვებული იქნეს—1) ეხლო-ოდენ გამონაკლის შემთხვევებში, როგორიცაა მაგ. რაიმე სტიქიური უბედურების დროს საზოგადოებრივ ხასიათის აუცილებელი სამუშაოები (ზაყადღომა, ხანძარი, შიშის ძვირთ მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის ადოდენა-გამოსწორება და სხ.); 2) იმ გვარ დაწესებულ სამუშაოებებში, რომელთა გადადება ტეხნიკური პირობების გამო შეუძლებელია და საზიანო შრომელთა მასის უმრავლესობასთვის, როგორიცაა მაგ. უმეტესი, ნაწილი რკინიგზის სალიანდაგო სამუშაოებისა, საზოგადო აუცილებლობის ხიდების შეკეთება და სხვა. (იხ. შრ. კან. კოდექ. მუხ. 104—ახლ. ა. ბ. გ.).

აღნიშნულ შემთხვევებშიც ზედმეტ საათების მუშაობა დაიშვება მხოლოდ შრომის ინსპექტორის, სათანადო პროფორგანოს ან და საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიის ნებართვით.

ზედმეტ საათებში მუშაობა სასტიკად აკრძალულია მოზარდ ახალგაზრდობისათვის 18 წლის ჩასაკამდე. (იხ. იქვე მუხ. 105).

იქაც, სადაც ზედმეტი საათების სამუშაოები ნებადართულია სათანადო ორგანოების მიერ, თითოეულ დაქირავებულისათვის ზედმეტი სამუშაოს საათების ჯამი ერთი წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 120 საათს. (იხ. იქვე, მუხ. 106).

რასა ეხლადვე სინამდვილეში

სინამდვილეში თითქმის ყოველ საბჭოთა დაწესებულებაში და განსაკუთრებით კოოპერატიულ ორგანიზაციების და საწარმოო-სამეურნეო ორგანოების ბუჰგალტერია - კანტორებში ყოველგან და ყოველთვის დაუსჯელად ირღვევა შრომის კანონთა ეს მუხლები. ზედმეტი საათების მუშაობა ამ უკანასკნელს დაწესებულებებმა გადააქციეს ჩვეულებრივ მოგლენად.

ერთი წლის განმავლობაში დაშვებულ ზედმეტი 120 საათის ჯამს აღწინწნულ დაწესებულებათა მოხელენი აწყვეტენ თვე, თვეზედეერის განმავლობაში. წელიწადში კი მუშაობენ 1000—1200 ზედმეტ საათის განმავლობაში.

რა შედეგები მოსდევს ასეთ უთანაბრო ლოდ მუშაობას?

მას მოსდევს მუშის ფიზიკური ძალლონის განადგურება, შრომის და გონების ნაადრევი ინვალიდობა და იქ კი, სადაც ყველა ასეთი ზედმეტ საათების მუშაობისათვის დაქირავებულს აჯილდოებენ (საათების მიხედვით) **თანახმად შრ. კან. კოდექ. მუხ. 69-ის** ერთნაგვარ და ორმაგი საათობრივი ზელფასით, სამეურნეო და კოოპერატიულ დაწესებულებათა სალაროების დაცალიერება, საქონლის ზედნადები ხარჯების გადიდება, დაწესებულების დეფიციტიანობა-გაკოტრება და სხ. და სხ.

არაგვის ხეობაში, თუ რამდენად საჭირო და აუცილებელია ამა თუ იმ წამოწყება-დაწესებულებისათვის „ზედმეტი საათების მუშაობა“. „ხშირად ზედმეტი ადამიანის სამუშაოს იგონებენ“, როგორც ამბობენ ჩვენი მუშები, იმ მიზნით, რომ ამით „უკმაყოფილო“, გაუმაძღარ და ვერცხლის მოყვარე მოხელეთ ჯიბე დაუმძიმონ, ხელფასი გაუდიდონ და სხ.

არის თურმე ასეთი მოვლენებიც, როდესაც სანტიმენტალურად გაიწყობილი „საბ-ვიეტი“ და „საბ-ქალები“ ემალებიან ოჯახურ საქმეებს და „ზედმეტი საათების მუშაობას“ ანდიმენენ ლაზღანდარობას, „გულის საქმეების“ და სხვადასხვაგვარ პიკანტურ ქეთინაურებს.

მართალია, ასეთები ამისათვის განსაკუთრებულ ჯილდოს **არ** სთხოვენ ადმინისტრაციას, მაგრამ სარგებლობენ მისი ბინით, როგორც შესაკრეს პუნქტით და ელექტრო-განათებით 2—3 და მეტ საათების განმავლობაში.

რა ენაღვლებათ. ადმინისტრაცია გადაიხდის მის საფასურს.

საბრალო დარაჯს და დამლაგებელთაც კი წელი სწყდებათ, შრომა უორკეცდებათ.

ესენი კი არავის ახსოვს...

ყველა ზემოჩამოთვლილ მიზეზების გამო საჭიროთ მიგვაჩნია „ზედმეტ საათებში მუშაობის“ საკითხი ჩაითვალოს აუცილებლად საჭირო, გამოსარკვევ და შესასწავლ საგნად; დათვალიერებულ იქნეს ყველა საღამოობრივ გაჩირაღდნებული დაწესებულებები იმ მხრივ, თუ რამდენად ასეთნი აუცილებლად საჭიროებენ „ზედმეტ საათებში მუშაობას“ და სხ.

დროა ერთგვარ წესს, შრომის დისციპლინას, ხელმოშენრნოებას დავაჩვიოთ ჩვენი სამეურნეო ორგანიზეები და მათი თანამშრომლები.

ხნივი.

ასეთი ადმინისტრატორი მადლობის ღირსია

ჯერ კიდევ ჩვენში ყველას როდი აქვთ იმდენი შეგნება, რომ იცოდეს თუ რა არის ჩვენთვის კოოპერაცია, სახელმწიფო საეკონომიო, ტრესტები და სხვა. ამიტომ ბევრი ჩვენთანგანი უყვარდება კერძო ვაჭრებს ხელში, რომელნიც ტყავს აძრობენ მუშებს. ა | კ. რკ. გზ. მთავ. სამასალო საწყობის გამგე ამხ. სილიბისტრო მიმინოშვილი კი ანგარიშს უშვებს მუშების ეკონომიურ პირობებს, და იგი ცდილობს, რომ მუშები გაეცნონ სახელმწიფო საეკონომიებს, ტრესტებს და კოოპერაციას. ამხ. ს. მიმინოშვილმა ა | კ. რკ. გზ. მთავ. საწყობის მუშებისათვის (105 კაცი-სათვის) საქ. სახ. მეურ. უმაღ. სამეცნ ჭრა-კერვის ტრესტს შეუკვეთა 3000 მანეთად ღირებული პალტოები, შინიელები და შალვარები სამი თვის ვადაში გადახდით. ალნიშნული ნივთები მუშებმა მიიღეს უკვე. საქონელი კარგი ხარისხისაა, შეკერილია მშვენივრად, რასაკვირველია, ფას ნაკლებადაც გამოგვაქვს. ამით მუშებს ფიდი შეღავათები ეიეკა. ხსენებული თანხის პასუხისმგებლობა ამხ. ს. მიმინოშვილმა იკისრა ტრესტის წინაშე. ამისათვის ამხ. სილიბისტრო მიმინოშვილი მადლობის ღირსია. კარგი იქნებოდა, რომ ასეთ დაწესებულების გამგეებიც ასე შეუყოფდნენ მუშებს ხელს.

მუშკორი — გვაზაურელი

—

გამოგზავნილი წერილებიდან

— მადლობა ასეთ მუშაკს. საქართ. ტრანსპორტზე მომუშავეთა ც. გ.—ში საქმეთა მმართველის თანამდებობაზე მუშაობს ამხ. **კონსტანტინე თოდრია.** ამხ. თოდრია თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს. მუშაობს ზედმეტ საათებში. მუშებს ძალზე თავგანიადად ეპყრობა, რის გამო ის ყველას უყვარს.

მუშა მტგვირთველი.

— ხაბურთალოს მუშათა კლუბში. 25 ოქტომბერს აღნიშნულ კლუბში დადგმული იქნა „აბზეგის“—„ელეონორა“. წარმოდგენა ძალიან ცუდათ ჩატარდა. მოთამაშეთ არ ეტყობოდათ არავითარი მომზადება, რამაც დამსწრე მუშებზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა.

სახელს უტეხენ ასეთი მოთამაშეები. მუშათა მასიობებს და მათ ენდა აეკრძალოთ „მსახიობობა“.

გულშემატკივარი.

— ალაგმეთ ეს ჩარჩი. ვაკარი. ყოფ. ჩერქეზიშვილის ქ. სახ. № 102-ში ცხოვრობს ბევრი მუშა-მოსამსახურე და ბევრი ტარანტელა ტერენტერიზმი, რომლისგან მოსვენება არ. [illegible] ეს ჩარჩი თითქმის ყოველ დღე საშინლად სცემს თავის ცოლს, ეჩხუბება და ლანძღავს მას უშვერი სიტყვებით და აკლებული ჰყავს აქა მცხოვრებნი.

ალაგმეთ ეს ჩარჩი.

ფერდინანდ ირელი.

— ადგილკომი მუშებმა გაამოარახეს. 19 ოქტომბერს „ზაპეს-ში შესდგა მესამე სააღმშენებლო უბნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებამ მოისმინა ადგილკომის და სარევიზიო კომისიის მოხსენებები ადგილკომის მუშაობის შესახებ. კრებამ ადგილკომის და სარევიზიო კომისიის მუშაობა არ სცნო დამაკმაყოფილებლად და აირჩა ახალი ადგილკომი ახალი შემადგენლობით.

მუშა „ზაპესელი“.

— კლუბის შენობა ინგრევა. „ახალი კლუბის“ სახურავი ძალზე დაზიანებულია. წვიმის დროს კლუბში ისე სწვიმს, როგორც ეარეფლოპები შენობა, ინგრევა ბერი, კედლები. პატრონი კი არა სჩანს. კლუბის გამგეობა მას არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

აღმასკომო, მიიღე ზომები, სახალხო ქონება იღუპება!

ტარზანი.

— ადგილკომის მდივანი არაფერს არ აკეთებს. ძირითადი თემაში (შორაპნის ოსტა) არსებობს ხე-ტყის მასალის დამამზადებელი ქარხანა, სადაც მუშაობს 300 მუშა. მუშებს ჰყავთ არჩეული ადგილკომი, რომელიც ანაფეფოს აკეთებს. ადგილკომის მდივანი ამ საქმისათვის არ არის სრულებით მომზადებული.

საჭიროა ადგილკომის მდივნად აირჩეულ იქნეს ენერგიული და შრომის მოყვარე მუშაკი.

ან. ფიქარიშვილი.

— ალაგმეთ გარყვნილი ქალები. პლეხანოვის პროსპექტზე და კირკის ქუჩაზე საღამოობით ფბეს იყრიან როსკიპნი და მათ დასდევს მთელი ჯგუფი „მონადირე“ ახალგაზრდობისა.

მოსპეთ ეს ნაზიზღარი სურათი!

ივ. დანი.

— გაგვიხსენით სამკითხველო-ბიბლიოთეკა. მე-6-ე უბნის (ზაკი სოფელი) და მის ახლო-მახლო უბანთა მცხოვრებთ მეტ ნაწილად მუშა-მოსამსახურენი შეადგენენ და ეს უბანი ყველასაგან მივიწყებული მეტად ჩამორჩენილია კულტურულადაც. უბრალო სამკითხველოც კი არ არის. ეს დაუშვებელია. მოგვეხედეთ.

მუშკორი ელი.

ეკონომია

ბაკურიანი

ახალი ნიხრა. აღმასკომის კომუნ. განყოფილება ამ ჟამად იმუშავებს ახალ ნიხრს დარაბებზე.

— მგზავრების გადაყვანა. გასულ სალგარაშო წელში ტრამვაით გადაყვანილი იქნა 9,186,383 მგზავრი, 32,8 პროც. მეტი წინა წელთან შედარებით.

— ზაპეხის საჭიროებისათვის აღმასკომის აგურის ქარხნებიდან შეუდგენ 535 ათასი ცალი აგურის დამზადებას.

— თბ. აღმასკომის სანიტ-ტეხნიკურმა სექციამ დაამთავრა საეკონომიო-სამრეწველო დაწესებულებათა გამოკვლევა. აღმოჩენილი იქნა მრავალი უწესობება სანიტ-ტეხნიკურ დარგში. მიღებულია ზომები მათ გამოსასწორებლად.

ჯანსახლკომში

— საკურორტო აღმშენებლობა. მთავარი საკურ. სამმარ. მიმდინარე წელში საკურორტო მშენებლობაზე დახარჯავს ერთ მილიონ მანეთს.

— ტანთმოვარჯაშეთა ჯანმრ. შეკრებები. 3 და 8 ნოემბრ. განზრახული გასამართავ ოლიმპიადის გამო, ჯანსახკომმა კადასწყვეტა მოახდინოს ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღებამდე ყველა ტანმოვარჯაშეთა ჯანმრთელობის შემოწმება.

— ლაბორატორია სვანეთის. ჯანსახკომის კომისარიატმა სვანეთისათვის შეიძინა საავადმყოფოს 10 საწოლი.

თბ. ზამთრის სალარო

— საექიმო დახმარება. დაზღვეულთა საექიმო დახმარებისათვის 24—25 წლის განმავლობაში სალარომ გაიღო 728,532 მან.

ზემოხვევები

— ამ ორი თვის წინად ქალ. ხესტაფონში მოჰკლეს ვაკარი ამბაკო კუპატაძე. მკვლელობის მიზეზის გამორკვევა და მკვლელების აღმოჩენა დღემდე შეუძლებელი ყოფილა. შემდეგ მკვლელობის ბოროტმომქმედებმა დაიწყეს აწიოკება მოკლულის ოჯახს. ადგილობრივი მილიცია ეძლერი გამოდგა მათთან ბრძოლაში, და შიშისა და ჯავრისაგან 3 კვირის შემდეგ გარდაიცვალა მოკლულის ცოლიც.

ამ რამდენიმე დღის წინად, ხესტაფონში ატყდა საშინელი ჩხრეკა, სროლას მოჰყვა ორთქლმავალების კვეილი და მოულოდნელად ქალაქი მოიცვა ქანიკამ. როდესაც ყველაფერი მიწყნარდა, აღმოჩნდა, რომ ბოროტმომქმედებს გაუტაციათ კუპატაძის ერთად ერთი 14 წლის ქალიშვილი.

დაფაცურდა მილიცია, მაგრამ გამტაცებლებმის კვალს ვერ მიაგნო. გატაცებულს კი ამ დროს თურმე ჩხრიტსკენ მიაკრიალებდენ ცხენოსანი „მკლავაძეები“. გატაცების ოთხი დღის შემდეგ მილიციამ გატაცებული აღმოაჩინა ჩხარის აწლო, ძრძოშვილების ოჯახში.

ქალის გამტაცებელი ვინმე ყიფიანი და მისი ხელის შემწყობნი იმავე დღეს დაპატიმრებულნი ჩამოიყვანეს ხესტაფონში. გამომძიებელი ირკვევა ქალის გახრწნის საბნელი სურათები.

—

— ახალი ყაიდის ქურდები. 20 ოქტ. ქუთაისიანის დიმიტრეთზე, აბანოს წინ ეურაბ ბეკეტაშვილს უცნობმა პირებმა აუტაცეს ჩხები, რის დროსაც ეაართვეს ტყავის ტუჩურკა და მიიმალენ.

— ცეცლი. ირაკლის ქ. № 6, 20 ოქტ. სამინო ამბარაგის სახლს გაუჩნდა ცეცლი, რომელიც ჩაქრობილი იქმა ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

— მკვლელობა. 29 ოქტ. თათრის მოედანზე მაშადი ვორუდ მარნა ოღლიმ დანით მოკალა გიორგი ჩაკიძე.

— ქურდობა. 29 ოქტ. ტულუბანიშვილეულ მამულში მცხოვრებ ელენე ლეონიძეს მოპარეს 120 მან. ნივთები.

— შეპყრობა. 29 ოქტ. შეიპყრეს იბრაგიმოვი და არუთინ აკოფოვი, რომლებმაც ახალ ბაზარში ქრისტეფორე მურმელაძეს ჯიბიდან ამოაცალეს საფულე.

— დასასვენებელი სახლების საკეროებისათვის გასული საანგარიშო წლის განმავლობაში დაიხარჯა 19,017 მან.

— დახმარების გაცემა. დღეს უკანასკნელი დღეა უმუშევრებისათვის ოქტომბრის დახმარების მისაღებად.

ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატში.

— ფოსტა-ტელეგრაფის უწყების ემბლემის კონკურსზე გამარჯვება ხვდა მხატვარ კოზაკევიჩის პროექტს.

— ტელეფონის ქსელი. მაზრებში ტელეფონის ქსელის გასაფართოებლად აჰარის შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა დამატებით გადასცა 5 ათასი მანეთი.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში.

— ტყის გადაცემა. მიწათმოქ. სახ. კომისარიატმა ჩათახის ქარხანას ნახშირის საკეროებისათვის ტყის დღემდე გადასცა სულ 23,000 ფესეტინა ტყე.

მიწათმოქ. კომისარიატის ნებით თელავის მაზრაში ამ მა-ჯ მეკვინვარეს ღორის ჭირი, რომლის წინააღმდეგ მიღებულია სათანადო ზომები.

სხვადასხვა

— ა | კ. ინჟ.-ტეხნიკ. ყრილობა შესდგება თბილისში 15 დეკემბერს.

— საექიმო დახმარება მოჯამაგირეებს ჯანმრთ. კომისარიატმა განკარგულებით მიიღებამ პირველ რიგში საექიმო დაწესებულებებიდან.

ხელოვნება

— პროლეტარულ მრეწველთა ასოციაციაში. დღეს, 31 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე ხელოვნების სასახლეში (მაჩაბლის ქ., № 13) ამბ. ა. გაწერილია გაკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „თანამედროვე თეატრი“.

ფინანსური მეურნეობა

სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის ახალი გეგმა

ყოველ წელს ეკონომიური ფაკულტეტის სამოსწავლო გეგმა და პროგრამა იცვლებოდა. ყოველი გეგმა საცდელ ხასიათს ღებულობდა. მომდინარე წელშიც შემოღებულ იქნა ახალი სამოსწავლო გეგმა. ეს გეგმა უნდა დარჩეს, სანამ მის შეცვლას არ მოითხოვს ცხოვრების და მეცნიერების განვითარება.

როგორია ეკონომიური დარგის ეს ახალი გეგმა? სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი იყოფა ორ დარგად: სოციალური (იურიდიული) და ეკონომიური.

პირველი კურსი ორივე დარგისათვის საერთოა. ამ კურსზე იკითხება: ისტორიული მატერიალიზმი, მუშათა მოძრაობის, რ. პ. კ. და ინტერნაციონალის ისტორია. გასულ წელს ეს უკანასკნელი საგანი დანაწილებული იყო სამ ნაწილად, რაც მიზანშეუწონელი იყო, ვინაიდან ამმიმბედი გეგმას და ართულებდა სტუდენტობის მუშაობას, რადგან სამივე საკითხი ერთმანეთთან ორგანიულათ არიან დაკავშირებული. ეხლა კი სტუდენტს მიეცემა ერთ მთლიან კურსში მწყობრი წარმოდგენა მუშათა კლასის ისტორიაზე. პირველ კურსზე იკითხება აგრეთვე: საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორია, სამართლის თეორია, ზოგადი სტატისტიკა და ენები.

მეორე კურსიდან კი ორივე დარგზე იწყება სპეციალიზაცია. წინათ სპეციალიზაცია იწყებოდა მესამე კურსიდან, რაც მიზანშეუწონელი იყო. სპეციალიზაცია გვიან იწყებოდა და ვერც იურისტი, ვერც ეკონომისტი ვერ მომზადდებოდა საათანადოთ ორი წლის განმავლობაში. ეხლა სპეციალიზაციისათვის სტუდენტს ეძლევა სამი წელიწადი.

მეორე კურსზე იკითხება: სპეციალი სტატისტიკა. იგი დაყოფილია ორ ნაწილად: ზოგადი და სპეციალი და იკითხება ორ პირველ კურსზე. დღემდი სტატისტიკის სწავლება უნივერსიტეტში არ იყო სათანადოთ დაყენებული. სტატისტიკას სწავლა განისაზღვრებოდა ლექციების მოსმენით და სემინარში მოხსენების წაკითხვით. უნივერსიტეტს ჯერჯეოთ-ით არა აქვს სტატისტიკური კაბინეტი, სადაც სტუდენტს შეეძლება ასისტენტის ხელმძღვანელობით პრაქტიკული მუშაობა. ბევრი ისე ამთავრებს უნივერსიტეტს, რომ არითმომეტრი თვალითაც არ უნახავს. ძლიერ სუსტია კავზრი სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთანაც.

ამ ვე კურსზე იკითხება: თეორიული ეკონომიკა, სოციალურ მოძღვრებათა ისტორია, მსოფლიო სოციალურ-ეკონომიური ისტორია, ეკონომიური გეოგრაფია (მსოფლიოს, ამ.-კავკასიის და საქართველოს), საქართველოს ისტორია მე-19 საუკ. და კომერციული არითმეტიკა.

მესამე კურსზე იკითხება შემდეგი საგნები: ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია, საფინანსო მეცნიერება, საბჭოთა სამოქალაქო სამართალი და საბჭოთა სახელმწიფო სამართალი. ამას გარდა იკითხება კიდევ ზოგადი ბუჰგალტერია და ერთიული მეურნეობის მოძღვრება (კერძო ეკონომიკა). უკანასკნელზე კიდევ გვეუნება ლაპარაკი. იკითხება აგრეთვე პრაქტიკული ეკონომიკა (ეკონომიური პოლიტიკა), რომელიც მოითხოვს აქ რამოდენიმე შენიშვნას. პრაქტიკული ეკონომიკა ეკონომიურ მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილია, მასთან ძლიერ ვრცელი საგანიც არის.

ზოგიერთ ქვეყნებში თეორიული და პრაქტიკული ეკონომიკა დღესაც არ არის განცალკევებული—ორივე იკითხება ერთად ერთ მთლიან კურსში. ჩვენთან, ისე რო

სიფხიზლე

დადგენილება უნდა გადაისინჯოს

27 სექტემბერს სასოფლო საბჭოების რაიონულ კრებაზე დასმული იყო საკითხი: „ნებადართულ იქნეს თუ არა საქონლის ბაღებში შერეკა?“

უმრავლესობით გადაეწყვიტა—„ნებადართულ იქნეს“. საბჭოს ერთი წევრის პროტესტზე, რომ საქონელი ამტვრევს ვაზებს, აფუჭებს ახალგაზრდა ხეხილებს, დიდ ზარალს აყენებს მეგობაღეობას—სამაზრო აღმასკომმა უპასუხა: „უმრავლესობას უნდა დაეემორჩილოთო“.

წინადადებაზე, „რომ ვენახის გაფუჭებისათვის შემოღებულ იქნეს ჯარიმა“, სამაზრო აღმასკომმა ასეთი პასუხი გასცა: „ჯარიმების დრო წაიდა, საჭიროა ორი კაცის დასწრება მოწმეთ, ოქმის შედგენა და სახალხო სასამართლოს გზით გადახდევინებაო“.

აბაეე საბჭოს წევრი განმარტავს: სახალხო სასამართლო 8 ვერსს იქით არის, საქონელმა ბაღებს მიაყენა 1—2 მანეთის ზარალი, განცხადებას დაზარალებულმა უნდა დააკრას მარკა, დაკარგოს სამუშაო დღე სარბილში, გააცდინოს მოწშეებიც; უკანასკნელნი უარს აშბობენ დაესწრონ ოქმის შედგენას, რადგან იცან, რომ მოუხდებათ 8 ვერსის გავლა, არ წავა სასამართლოში და დააჯარიმებენ 5 მანეთით. ესთქვათ მიდა და დაზარალებული, ნახა, რომ მოპასუხე არ გამოცხადდა. მეორეჯერ აღარც დაზარალებული მიდის და აღარც მოწმე. საქონლის მიერ მიყენებულ ზარალს ემატება სამუშაო დღის გაცდენა, მარკის ფული. ეს იწვევს საშინელ მტრობის გაძლიერებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამაზრო აღმასკომს მართებს მიაქციოს ამ შემცდარ გადაწყვეტილებას სათანადო ყურადღება. როგორც ვიცით, სოფელ წილკანში სეტყვამ და წყალდიდობამ გაანადგურა ბაღები, ქვებით დამტვრეულია ხეხილები (ნაწილი გახმა), ვენახები მოყინა, სოფელს წელს არ მოსვლია მწვანილი და ხილი და ეხლა რომ ნებადართულ იქნეს საქონლის შერეკა ბაღებში,—ეს ნიშნავს სოფლის სავსებით განადგურებას.

წილკნელი.

ბოგოლეს უბანი უპატრონოდაა

წინათ აქ არსებობდა 4 წლედი, კოოპერატივი და სამკითხველო; ხოლო დღეს ამ სამ კულტურულ დაწესებულებათა შორის ვხედავთ 4 წლედს და ისიც სულს ძლიეს ღაფავს. კედლები ჩამომპალია, პარტები არ მოიპოვება, სასწავლებლის ეზო შეულობაგია.

ზამთრისათვის გამგემ შეშის ფული მოწყეტებში მოაგროვა. როგორც იქნა შეკრება ათი მანეთი, მისცა ბე მოიჯარადრეს, მაგრამ დანარჩენი 15 მან. ვეღარ გაისტუმრა. ამრიგად ფული დაიკარგა და შეშაც აღარ არის. რა

საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო

ბანკი

ერაოვნული ბიბლიოთეკა

ანგარიშების მდგომარეობა 1925 წ. 1-ლ სექტემბრისათვის

აქტივი

№ № ფინსაკომის ნომენკლ. მიხ. დფთ.	№ № რიგზე	ანგარიშების სახელწოდება	ბანკის გამგეობის	მოსკოვის საქალაქო განყოფილებების	სხვა ქალაქების განყოფილებების	ს უ ლ
1	1	კასა და მიმდინარე ანგარიშები	7.530.378—78	795.582—30	11.722.034—58	20.048.095—60
2	2	ფასიანი ქაღალდები, უცხოეთის ვალიუტა და საკუთარი საქონელი	8.957.019—51	1.729.147—84	3 928.087—61	14.614.254—96
3	3	სათამასუქო ოპერაციები	85.118.532—64	12.282.439—91	153.549.807—31	250.950.779—86
4	4	საქონელი გირაოს ქვეშ	29.388.1[illegible]3—23	1.766.436—03	43.602.115—59	74.756.704—80
5	5	სესხი ფასიანი ქაღალდების, ძვირფასი ლითონების და უცხოეთის ვალიუტის გირაოს ქვეშ	929.6[illegible]8—58	561.639—49	203.219—99	1.694.483—90
6	6	გრძელვადიანი სესხი	3.6[illegible]6.231—26	—	2.993.766—45	6 599.997—71
7	7	კორესპონდენტები	2.846.443—37	—	432.648—57	3.279.092—94
8	8	კომიტენტები საკომისიო ოპერაციებზე	587.359—82	31.836—51	3. 59.270—44	3.778.466—77
9	9	სხვადასხვა პირები და დაწესებულებანი	4.328.891—54	69.074—34	4.106.536—80	8.504.302—68
10	10	ანგარიში გამგეობასთან	—	2.134.467—36	4.381.463—83	6.515.931—19
11	11	ანგარიში განყოფილებებთან	85.844.298—12	—	—	85.844.298—12
12	12	ქონება	362.297—46	62.399—16	827.310—32	1.252.006—94
13	13	საორგანიზაციო ხარჯები	154.963—85	6.129—28	57.832—85	218.925—98
14	14	მიმდინარე ხარჯები, გადასახადები და გამოსაღები	3.623.983—67	435.113—51	5.845.986—21	9.905.085—39
15	15	გადახდილი და დარიცხული პროცენტები, გადახდილი საკომისიო	6.708.665—05	497.884—97	9.101.320—42	16.307.870—44
17	16	გაპროტესტებული თამასუქები	585.827—89	283—60	971.784—07	1 557.895—56
18	17	საეჭვო ვალები	—	—	31.072—75	31.072—75
19	18	სხვა აქტივები	1.859.296—16	44.660—01	21.778.989—32	26.182.945—49
		ბალანსი	241.941.750—93	20.417.194—31	269.683.248—12	532.042.193—36

პასივი

№ № ფინსაკომის ნომენკლ. მიხ. დფთ.	№ № რიგზე	ანგარიშების სახელწოდება	ბანკის გამგეობის	მოსკოვის საქალაქო განყოფილებების	სხვა ქალაქების განყოფილებების	ს უ ლ
1	1	სააქციონერო თანხა	63.021.513—36	—	—	63.021.513—36
2	2	საორგანიზაციო ხარჯების ფონდი	1.308.383—21	—	—	1.308.383—21
3	3	განსაკუთრებული დანიშნულების სპეციალური თანხები	3.616 231—20	—	779.535—59	4.395.766—79
4	4	ანაბარები და მიმდინარე ანგარიშები	95.288.106—64	10.478.844—59	104.355.322—25	210.122.273—48
6	5	გადახურდავება და გადაგირავება ა) სახელმწიფო ბანკში	—	—	122.792—09	122.792—09
		ბ) სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	100.258—68	—	1.100.561—69	1.200.820—37
			34.479.124—71	—	8 549.337—01	43.028.461—72
7	6	სპეციალური მიმდინარე ანგარიშები სახელმწიფო ბანკში	3.789.619—08	—	345.707—08	4.135.326—16
8	7	კორესპონდენტები	203.937—34	40.466—24	2.438.002—04	2.682.405—62
9	8	კლიენტები საკომისიო ოპერაციებზე	1.042.308—19	167.905—68	6.812.975—83	8.023.139—70
10	9	კომიტენტები საკომისიო ოპერაციებზე	2.960.948—07	77.744—68	3.730.850—96	6.783 543—71
11	10	სხვადასხვა პირები და დაწესებულებები	—	6.397.521—05	83.412.151—59	89.809.672—64
12	11	ანგარიში გამგეობასთან	7.577.100—76	—	—	7.577.100—76
15	12	ანგარიში განყოფილებებთან	16.565.201—63	1.193.006—91	23.417.912—21	41.176.120—75
14	13	პროცენტები, კომისია და სხვა შემოსავალი, მიღებული	41.296—32	89.007—11	18.338—55	148.641—98
15	14	განსხვავება კურსზე	11.452.721—68	1.972.698—05	34.599.761—29	48.035.181—01
16	15	სხვა პასივები				
		ბალანსი	241.941.750—93	20.417.194—31	269.683.248—12	532.042.193—36

გამგეობის თავმჯდომარე ვ. ნ. პსანდროვი

გამგეობის წევრები: ა. ე. აქსელროდი, ს. ე. ვეიცმან, ა. ა. გაიდამოვიჩ, ა. მ. ივანოვი, ფ. მ. კონარი

მთავარი ბუღალტერი ლ. ა. მოტრგულისი

ბანკის კანტორები, განყოფილებები საკომისიო დაწესებულებები და საagენტოები:

ბანკის გამგეობა—მოსკოვში; კანტორები, განყოფილებები, საკომისიო დაწესებულებები და სააგენტოები: ანდიჟანში, არმავირში, არტემოვსკში (ბახმუტი), ასტრახანში, ბაქოში, ბერდიჩევში, ბუხარაში, ვინიცკში, ვიტებსკში, ვორონეჟში, ვიატკაში, გროზნოში, ეკატერინოსლავში, ჟიტომირში, ზაპოროჟიეში, ზინოვიევსკში (ელისავეტგრად), ივანოვო-ვოზნესენსკში, ირკუტსკში, ყაზანში, ქერჩში, კიევში, კიზილ-ორდაში, კოკანდში, კრასნოდარში, კრასნოიარსკში, კრემენჩუგში, კუგანში, კურსკში, ლენინგრადში, ლუგანსკში, მერვში, მინსკში, ნამანგანში, ნიკოლაევში, ნოვგოროდში, ნოვო-ნიკოლაევსკში, ნოვოროსიისკში, ოდესაში, ომსკში, ორენბურგში, პერმში, პოლტავაში, პოლტორაცკში, პსკოვში, როსტოვში-დონზე, სამარაში, სამარკანდში, სარატოვში, სვერდლოვსკში (ეკატერინბურგ), სევასტოპოლში, სიმფეროპოლში, სტავროპოლში, სტალინგრადში (ცარიცინი), სტალინოში (იუზოვკა), სუმახაში, ტაშკენტში, ტფილისში, ტომსკში, ტიუმენში, უფაში, ფერგანში, ხარკოვში, ხოჯენტში, ჩელიაბინსკში, ჩერეპოვეცში, ჩიტაში, იაროსლავში, მახაჩ-კალაში (პეტროვსკ), კრივოიროგში.

ნ. № 139—1—1

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან

მეორე საგლეჯო მომგებიან სესხის გამოშვების და მასზე ხელის მოწერის შესახებ

საბჭოთა კავშირის ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით გამოშვებული იქნება მეორე სახელმწიფო საგლეჯო მომგებიანი სესხი ორი წლის ვადით 1925 წლის 1 ნოემბრიდან 1927 წლის 1 ნოემბრამდე.

სესხის პირობები

სესხი გამოშვებული იქნება ათ სერიათ 10.000.000 მანეთის რაოდენობით თვითეული, ობლიგაციების ფასი იქნება 5, 10 და 50 მანეთი.

ობლიგაციები იძლევიან ყოველწლიურ შემოსავალს 12 პროც.-ის რაოდენობით, რომელიც განაღდებული იქნება ყოველთვიურად, კუპონით, თვითეული თვის პირველ რიცხვებში.

ობლიგაციები მონაწილეობას იღებენ მოგებათა 8 ტირაჟში. ყოველ სერიის თვითეულ ტირაჟში გათამაშებული იქნება 3.281 მოგება 125.000 მანეთის რაოდენობით, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირათ:

1	მოგება	5.000	მანეთიანი
5	„	1.000	„
25	„	500	„
50	„	100	„
700	მოგება	50	მანეთიანი
2.500	„	25	„

მოგებათა პირველი ტირაჟი მოხდება ა | წ. 15 დეკემბერს.

მასში მონაწილეობას მიიღებს სესხის ორი სერია: გათამაშებული იქნება 6.568 მოგება 250.000 მანეთის რაოდენობით.

ობლიგაციები მიიღება სახელმწიფო იჯარების და მიწოდებების აღების დროს საწინდრის სახით და აგრეთვე ობლიგაციებით შეიძლება ვადაგასულ აქციზის და საბაჟო გადასახადების გასტუმრება.

ობლიგაციები და ყოველგვარი გარიგებანი ამ ობლიგაციებით თავისუფლდება ყოველგვარ სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებისაგან.

ხელის მოწერა სესხზე

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატი ა | წ. 1 ნოემბრიდან უშვებს მე-2 სახელმწიფო საგლეჯო მომგებიან სესხის პირველ და მეორე სერიას, როშლის ნომინალური ჯამი უდრის 20.000.000 მანეთს.

შემდეგი სერიები გამოშვებული იქნება საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ არა უადრეს 1925 წ. დეკემბრის ბოლო რიცხვებისა.

1925 წ. 15 დეკემბერს მოხდება მეორე სახელმწიფო საგლეჯო მომგებიან სესხის მოგებათა ტირაჟი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ პირველი ორი სერია.

ხელისმოწერა მიიღება ყველა საკრედიტო დაწესებულებებსა და შენახველ კასებში.

0—2 ნ. 130

ბავშვთა კომისია წინადადებას იძლევა

სამი დღის განმავლობაში, ბავშვთა მეგობრების საზოგადოების რწმუნებულები გამოცხადნენ საზოგადოებაში და ჩაგვბარონ ანგარიში მიღებულ საწერო გადასახადების

359 (ა) 1—1

გარეშ-უბნის სასამართ. აღმასრულ. კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 3 ნოემბერს 1925 წ. ს. კოჯორში საჯარო ვაჭრობით გაყიდის კოჯორის კოოპერატივ „ეპო“-ს მოძრავ ქონებას, სხვადასხვა: ფეხსაცმელებს, მანუფაქტურას, შაქარს, ლურსმანს, რეულებს, ჭურჭლეულობას, ბოთლებს, სასმელებს და სხვას, შეფასებულს 545 მან. 60 კაპ. დასაკმაყოფილებლად სახ. სპრრტის და კონიაკის ტრესტისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 357

ელექტრონით და სინათლით

სამპურნალო

საწოლებით რენტგენი დიარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე ინფავადმყოფოთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორლანოვის ქ. № 20.

9205 25—1

ექ. ნ. პ. ფალიაშვილი

დაბრუნდა და განაახლა მიღება ყოველგვარ მედიკურ ანალიზების შრდოს ნახველის, სისხლის და სხვა ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბეზრედკოსი (ბალეე) და სხვა. გამოკვლევებს მიიღებს მთელი დღე, პირადათ საღ. 5—7 ბელინსკის ქ. ბაკრაძეს შესახვევი (ყოფ. გურის) № 10. 2511 1—1

ექიმი დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (ფარული და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ეკლესიიდან.

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა ტფილისში

და აქვს განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას დილის 9 სასათიანან სრულ 12 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ყ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56.

2675 25—1

ექიმი **მ. ა. ლუპოვეცკი**

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დილის 1—2 საათამდე.

სპასოროის ქ. № 35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის ნნეულები.

პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს“ პირდაპირ. მიღება 8—11 დილ., 6—8 საღ.

25—1

ექიმი **ვ. ს. არგუტინსკი**

ელისაბედის ქუჩა, 53.

ურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. 25—1

პროფესორი გ. მ. მუხაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის (ყოფ. მიხეილის) პროსპ. № 58. 13—1

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ნნეულ. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება დილის 8—9 საათ. და საღ. 6—7 ს. კამოს ქუჩ. № 72 (ყოფილი დიდი მთავრის).

25—1 ქვ. 326

ექიმი **შუხმანი**

ვენერიული და შარდ-სასქესო ორგანოების ავადმყოფობანი.

მიღება ქალებისათვის 2—3 საათამდე, მამაკაცებისათვის—საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქ. 89. (ქსენოფონტის ქუჩის პირდაპირ).

25—1.

ექიმი **ნ. გ. ახვერდოვი**

დაბრუნდა გერმანიიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება ქალურ ავადმყოფობასა და მეანობაში, სინათლით მკურნალობა.

ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათამდე, საღამოთი 4—7 საათამდე, ყოველდღე. ვერის დაფაზი № 15.

25—1.

ქალების ექიმი

ა. გ. სოლოდოვნიკოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, 9—2 საათ. და 4—6 საათ. რუსთაველის პროსპ. № 12.

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

ელინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 32. იღებს ავადმყოფებს

ურის, სიფილისის და ვენერიული (ფარული და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სახ. ფასო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი **გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა ნნეულებანი

ეუბნი და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ № 33.

ექიმი **ფ. ფ. რაბინან თუხარელისა**

ურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფობა ხელოვნური ტრიპერი. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი **კ. გ. ვართაპეტოვი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

მიღება დილით 8—9 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე.

სურამის ქუჩა № 9, სადგურის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

25—1

ექიმი **ე. ი. კალანდაძე**

ლებულობს ავადმყოფებს: შინაგან ავადმყოფობით შეაყრობილი, დილით—7-დან 8 საათამდე. ვემგრიფელი, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით საღამოობით—5 დან 7 საათ.

მისამართი: ბარნოვის (ყოფ. გუნიბის ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვნივ (1 უბანი). 25—1

დოქტორი **გ. მეგრაგბიანი**

ენეტგმების, გულის და ცილების წამლობა ხელოვნური ზოგის მზით, ენეიმოტორაკსით და ტუბერკულინებით, რენტგენის, და სინათლის, ელექტრონის საკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა ნნეულებანი.

მიღება ავადმყოფ. დილით 8 ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

ქალისა და ბავშვიანი ნნეულებანი

(ხიფოდენი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: ქალების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართ: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემენტის აფთიაქის პირდაპირ)

ქალების ექიმი

ტ. ფ ა ღ ა ვ ა

ცნელაძის ქ. (საპორნია) № 29 ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის პირდაპირ)

ჭკურნავს ქალებსა და ლრძიღებს, და აკეთებს ბლომბებსა და ხელოვნურ კბილებს.

მიღება) დილით 9—12-ს.
) საღ. 4—7-ს. 25—1

ქალების ექიმმა

ი. გ. გაკრაკლისამ

განაახლა ავადმყოფთა მიღება დ. 10—2 ს. 4—6-მდე

ელისაბედის ქუჩა № 117.

ექიმი **მ ა ლ ა ე ვ ი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება თვალების ნნეულებაში. მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 6—7 საათამდე.

თვალის სამკურნალო, ელისაბედის ქ., 47.

ექიმი **ა. ს. ფუნ-ირტელ**

მიხეილის პროსპექტი № 10, (ვორონეცოვის ბიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი). ბარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბეგასილისა ლენინოსტრიდან სისტეტი, ტრიბერის) ინფიციალური. ავადმყოფების მიღება ფილის 5 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდ

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ნნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დილ 1—2 ს. და საღამო 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესვლელი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**

ვენერიული, სამარდე—ხასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ, საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

ალექსანდრო „ნოეს“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—23

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზარდლთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ბიდის მახლობლად). 25—1

დავკარგე ლენინის გადასაგზავნი მოწმობები №№ 17411, 17412, 17413, სერგო თურმანიძეს სახელზე. ჩ. გ. 1—1 364

დავკარგე პირადი წიგნაკი № 76, ისაკ ცავას სახელზე. ჩ. გ. 1—1 364

დავკარგე პირადობის მოწმობა № 10110, და სამხედრო პირადი წიგნაკი სოკრატ ჩოგოვაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 364

დავკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი № 117, ლავრენტი ჯავახიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 364

დავკარგე ქ. სამტრედიის რკინის გზის პროფკავშირის წიგნაკი № 412-778, პეტრე სპირიდონის ძე რევიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ნ. 143

დავკარგე დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 6184, იონ ჩხარტიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 351

დავკარგე საკანდიდატო პარტბილეთი № 7229, ვასილ მახანიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 353

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 2281 მოსე მეგრელიძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 356

დავკარგე სიღარიბის მოწმობა იოსებ ლეარსაბის ძე ღლთვაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 360

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი, ლეონტი ბიარკალაიას სახელზე. ჩ. გ. 1—1 359

ტირაჟი—20.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს სამა ფულტკიძის ქუჩა № 4